

10 - ქულიანი შეფასების სისტემა

N	შეფასების რუბრიკა	9-10 ქულა /საუკეთესო/	7-8 ქულა /კარგი/	5-6 ქულა /დამაკმაყოფილებელი/	3-4 ქულა /საკმარისი/	0-2 ქულა /არადამაკმაყოფილებელი/
1	მასალის ცოდნა	თემა გახსნილია სრულად, ავლენს პროგრამული მასალის საუკეთესო ცოდნას, იყენებს ძირითად და დამატებით ლიტერატურას	თემა ძირითადად გახსნილია, უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს, იყენებს ძირითად და ნაწილობრივ დამატებით ლიტერატურას	თემას ხსნის დამაკმაყოფილებლად, უშვებს რიგ შეცდომებს, იყენებს ძირითად ლიტერატურას	თემის შესახებ საუბრობს საკმარისად, ვერ ავლენს პროგრამული მასალის ცოდნას, არ იცნობს ლიტერატურას	ვერ საუბრობს თემის ირგვლივ, არ იცის პროგრამული მასალა, არ იცნობს ლიტერატურას
2	მსჯელობის თანმიმდევრულობა	მასალის ირგვლივ მსჯელობს ლოგიკურად და დასაბუთებულად; კარგად აქვს გააზრებული საკითხი;	მასალის ირგვლივ მსჯელობს ლოგიკურად, ცოტა უჭირს დასაბუთება, საკითხი აქვს გააზრებული;	ვერ ამყარებს კავშირს საკითხებს შორის, გაფანტულად აზროვნებს; უჭირს თანმიმდევრული მსჯელობა;	საუბრის დროს დაბნეულია, ვერ აწყობს აზრს ლოგიკურად; საკითხის დასაბუთება უჭირს;	ვერ მსჯელობს ლოგიკურად; არ არის თანმიმდევრული;
3	ტერმინების და ცნებების ცოდნა	მასალას გადმოსცემს გამართული სალიტერატურო ენით-ტერმინების და ცნებების ზუსტი გამოყენებით;	მასალას გადმოსცემს ოდნავი ენობრივი ხარვეზებით, მაგრამ ფლობს ტერმინებს და ცნებებს;	მასალას შეფერხებით გადმოსცემს, უშვებს შეცდომებს ტერმინოლოგიაში;	საკმარისად ფლობს ტერმინოლოგიას; მაგრამ მეტყველებს ხარვეზებით;	არ იცის ტერმინოლოგია და ძირითადი ცნებები; ვერ გადმოსცემს მასალას ;
4	კონკრეტული მაგალითების მოყვანა	ძალიან კარგად იყენებს კონკრეტულ მაგალითებს საუბრის დროს;	კარგად იყენებს კონკრეტულ მაგალითებს;	აქვს შეფერხებები მაგალითების მოყვანისას;	უჭირს მაგალითების მოყვანა მასალაზე საუბრისას;	არ აქვს უნარი კონკრეტული მაგალითების მოყვანის;
5	ადრე შესწავლილი მასალის ცოდნა	ავლენს განვლილი მასალის საუკეთესო ცოდნას;	კარგად იცის განვლილი მასალა;	დამაკმაყოფილებლად იცის განვლილი მასალა;	საკმარისად იცის განვლილი მასალა;	არ იცის განვლილი მასალა;
6	თეორიული ანალიზის დონე	ძალიან კარგად შეუძლია მასალის განზოგადება, ანალიზი, შედარება დადასკვნის გაკეთება;	კარგად აანალიზებს მასალას და აკეთებს დასკვნას;	ანალიზში და დასკვნაში ეხმარება პედაგოგი;	დახმარების შედეგად უჭირს ანალიზი და დასკვნების გამოტანა;	არ ფლობს ანალიტიკურ უნარს;
7	დამოუკუდებლობის ხარისხი	მაქსიმალურად მობილიზებულია საკითხის გადმოცემის დროს, არ საჭიროებს კითხვებით დახმარებას;	დამოუკიდებლად გადმოსცემს აზრს, მაგრამ სრულყოფილებისათვის სჭირდება შეკითხვებით დაზუსტება;	მასალას გადმოსცემს ძნელად, სჭირდება დამხმარე შეკითხვები;	მხოლოდ შეკითხვებით შეუძლია მასალის ირგვლივ საკმარისად საუბარი;	საერთოდ ვერ ხსნის მასალას დახმარების საშუალებითაც;
8	რეგლამენტი	მასალას გადმოსცემს მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში, პასუხები ლაკონურია;	მასალას გადმოსცემს სხარტად, პასუხის დროს ცოტა დაფიქრება სჭირდება;	მასალის გადმოცემა და კითხვებზე პასუხი გაწეულია;	მასამაზე საუბრობს ძალიან გაწეულიად, არ აქვს დროის სეგრძნება;	რეგლამენტი არ არის დაცული;